ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3841533

ნომერი: AR1579776

თარიღი : 23.02.2018

გაცემის თარიღი : 26.02.2018

გაცნობის თარიღი : 01.03.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

გლდანის I მკრრაიონი კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რაულ ნიჟარაძე პ/ნ 27001001234
- ვაჟა-ფშაველას გამზირი 2 კვ. კორ 28ბ ბ31

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
აღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს სატრანსპორტო ზონაში (ტზ-1), რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ ტრანსპორტის/ქვეითის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზებს/ქუჩებს, მოედნებს, გზატკეცილებს,ხიდებს, გზაგამტარებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს, ტროტუარებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს,ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს,მიწისქვეშა ნაგებობებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დაუშვებელია სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)-ში აღნიშნული შენობა-ნაგებობის განთავსებას, ამასთანავე ასევე მიუღებელია შენობა-ნაგებობის განთავსება, ფეხით მოსიარულეთა სავალი ნაწილიზე (ტროტუარზე), ან/და ტრანსპორტისათვის განკუთვნილი სავალი ნაწილზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.